N 8239/09 11/05/2023

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #232/2023

ქ. თბილისი

ერთის მხრივ სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი უფროსის ზურაბ ჩეკურაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს თერა მოტორსის (შემდგომში `მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის თენგიზ ანანიძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.
1.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მცირე ტვირთამწეობის ავტომანქანების საბურავების CPV34351000 მიწოდება.
2.2. მოსაწოდებელი საქონლის დასახელება, ტექნიკური მახასიათებლები, რაოდენობა და ერთეულის ღირებულება მოცემულუია წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №1-ში

3. **ხელშეკრულების ღირებულება**

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **4,800 (ოთხი ათას რვაასი) ლარი** საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.
3.2. ხელშეკრულების დაფინანსების წყაროა **საკუთარი შემოსავლები.**

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეამოწმოს მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შესრულება.
4.2. შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს საქონლის მიწოდების ღირებულება ხელშეკრულების პირობებისა და ვადის გათვალისწინებით.
4.3. საქონლის მიწოდების ადგილია: ნატახტარი, მცხეთა, ცენტრ მაგისტრალი.
4.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების პირობებისა და ვადის გათვალისწინებით.
4.5. მიმწოდებელი ვალდებულია:
4.5.1. მიაწოდოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლში მითითებული საქონელი ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, არაუგვიანეს 2023 წლის 31 მაისისა.
4.5.2. საკუთარი ძალებით უზრუნველყოს საქონლის მონტაჟი და ბალანსირება დანიშნულების ადგილზე

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. ფატიურად მოწოდებულ საქონელზე მხარეებს შორის გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი შესაბამისი ღირებულების ასახვით.
5.2. მიღება-ჩაბარების აქტზე, შემსყიდველის მხრიდან ხელს აწერენ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფი.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებენ: თამარ აბაშიძე და დავით კარტოზია.
6.2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის ფუნქციაა მისაწოდებელი ან/და მიწოდებული საქონლის მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.
6.3. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.
6.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისთვის აუცილებელი პერსონალის და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები.
6.5. ყველა გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრასთან და კონტროლის ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. გარანტია

7.1. პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულ საბურავზე საგარანტიო პირობები ვრცელდება: საბურავის სწორი ექსპლუატაციის შემთხვევაში არანაკლებ 40 000 კმ გარბენზე. საგარანტიო პერიოდში ნორმების დაცვით ექსპლუატაციისას საბურავის გამოყენება არ უნდა იწვევდეს საფრთხის შექმნას მგზავრებისათვის და საბურავმა არ უნდა გამოავლინოს ისეთი დეფექტი, რომელიც ხელს შეუშლის სატრანსპორტო საშუალების ნორმალურ ექპლუატაციას.
7.2. საბურავმა საგარანტიო ვადის ამოწურვამდე არ უნდა განიცადოს დეფორმაცია და უნდა ექვემდებარებოდეს ბალანსირებას, წინააღმდეგ შემთხვევაში საბურავი უნდა შეიცვალოს იდენტური პარამეტრების მქონე ახალი საბურავით.

7.3. გარანტიის ვადის ათვლა იწყება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღიდან;

7.4. გარანტია არ ვრცელდება ქვემოთ ჩამოთვლილი მიზეზებით დაზიანებულ საბურავებზე:

ა) მექანიკური დაზიანება;

ბ) გარეგანი ზემოქმედებით (გადახურება/"დაბუქსავება");

გ) ტვირთამწეობის გადაჭარბება;

7.5. იმ შემთხვევაში თუ საგანტიო ვადის მოქმდების პერიოდის მანძილზე მოწოდებული საქონელი გამოვლენს რაიმე დეფეტქს და ხარვეზს, მიმწოდებელი ვალდებულია 15 კალენდარული დღის ვადაში ჩაანაცვლოს ხარვეზიანი ნაწილი ახალი და ხარისხიანით;

8. ანგარიშსწორება

8.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორებით.

8.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება **10 სამუშაო დღის** განმავლობაში მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და სათანადო საგადახდო დოკუმენტების შემსყიდველისთვის მიწოდების თარიღიდან (იმის მიხედვით რომელი უფრო გვიან მოხდება).

9. ფასები

9.1. მოსაწოდებელი საქონელის ერთეულის ფასი მოცემული დანართი N1-ში.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.3. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების მე-4 მუხლით განსაზღვრული ღირებულების **10%** - ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.5. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების **დანართის** სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

11.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში გამოიყენება პირგასამტეხლო.

11.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 20%-ის ოდენობით.

11.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულებების 10%-ის ოდენობით.

11.4. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის, მათ შორის, ხარვეზის აღმოფხვრის ან/და ნაკლის გამოსწორებისათვის განსაზღვრული ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

11.5. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მეოთხე პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

11.6. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადის გადაცილებისთვის მიმწოდებელი უფლებამოსილია, შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიმწოდებლისთვის ჩასარიცხი თანხის 0.02%-ის ოდენობით.

11.7. მიმწოდებელმა პირგასამტეხლოების გადახდა და აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტის შემსყიდველთან წარმოდგენა უნდა უზრუნველყოს წერილობითი შეტყობინებიდან 10 დღის განმავლობაში.

11.8. ვადის გადაცილებისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისგან.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3. თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

12.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

12.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13. დაუძლეველი ძალა

13.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დუძლეველი ძალის ზეგავლენით.

13.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

13.3. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

14. სხვა პირობები

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2023 წლის 31 აგვისტოს** ჩათვლით.

14.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ელექტრონულად.

დანართი#1

N	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთ,ფასი	მთლიანი ჯამი
1	საბურავი 265/70R17 Terra X H/T 115T -Waterfall	ცალი	16	300	4,800
				სულ ჯამი	4,800

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო	**შპს თერა მოტორსი**
ს. კ. - 205142200 მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის №6 მომსახურე ბანკი : სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი - TRESGE22 სახაზინო კოდი : 220101222 ანგარიშის ნომერი: 200122900	ს.კ. – 445386813 მის: ბათუმი,ივანე მესხის ქ,N 2 მომსახურე ბანკი: ს.ს. „საქართველოს ბანკი" ბ.კ. – BAGAGE22 ა/ა: GE41BG0000000680447700 ტელ:568681000 ელ.ფოსტა:info@teramotors.ge g.khinkiladze@teramotors.ge
სააგენტოს უფროსი ზურაბ ჩეკურაშვილი national food agency Digitally signed by national food agency Date: 2023.05.15 10:45:49 +04'00'	**დირექტორი** _____ თენგიზ ანანიძე

Tengiz Ananidze 61001000530
Digitally signed by Tengiz Ananidze
Date: 2023.05.11 18:23:32

ზურაბ ჩეკურაშვილი

სააგენტოს უფროსი
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო